

გოლოსიტყუად

რომელი-იგი იყო პირველითგან ღმრთისა [თანა სიტყუად ღმრთისა],^{*} თანამოსაყდრც [მამისა და სულისა წმიდისად], „ყოველივე მის მიერ იქმნა“,¹ [ვითარცა] იტყვს იოვანე ღმრთისმეტყუელი, და ნეტარი პავლე ღალადებს, ვითარმედ: „მის მიერ დაებადა ყოველი ფათა შინა და ქუეყანასა ზედა, – ხილულნი და არახილულნი, ანუ თუ საყდარნი, გინა თუ [უფლე]ბანი, ანუ თუ მთავრობანი, გინა თუ ჭელმწიფებანი, – ყოველი მის მიერ და მისა მიმართ დაებადა. და იგი თავადი არს ყოველთა წინა, და ყოველი მის მიერ დამტკიცნა“.² რამეთუ მრავლითა მით სახიერებითა თვისითა ყოველივე არარადსაგან სიბრძნით დაპხადა [და ხილულსა ამას] სოფელსა ზედა გარდაართხა სამყარო ცისად, ვითარცა კამარად, და მას შინა განაწესნა მნათობნი, რადთა ბრნყინვიდენ ქუეყანასა ზედა და შეენეოდიან კაცთა საქმესა.

ხოლო კაცი შექმნა ხატად თვისა და მსგავსებად³ [და] „დაადგინა სამოთხესა მას შინა საშუებელისასა“ თვითმფლობელობითა, პატივ-ცემით და მისცა მას მცნებად ნივთად და საქმედ თვითმფლობელობისა მისისა, ვითარცა წერილი იტყვს.⁴

ხოლო მან შურითა ეშმაკისამთა და ცოლმითა დედაკაცისამთა დაივიწყა [მცნებად იგი მოცემული მისა და იძლია ჭამად] ხისა მისგან და ამისთვის გამოვარდა სამოთხით და [ექსორია] იქმნა სოფელსა ამას შინა; და მიერითგან [უფლებდა] სიკუდილი, [და განმრავლდა ცოდვად ნათესავთა შორის კაცთასა, და ყოველივე სოფელი დაიპყრა უშჯულოებამან].

ხოლო უკუანადსკნელთა უამთა ჯერ-[იჩინა] მხოლოდშობილმან ძემან და სიტყუამან ღმრთისამან ცხორებად კაცთად და განზრახვითა მამისამთა გარდამოწდა ზეცით და წორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისგან ქალწულისა და კაც იქმნა, ყოვლითურთ მსგავს ჩუენდა, თვინიერ ცოდვისა, და მოგვყიდნა პატიოსნითა სისხლითა თვისითა და შეგვმზადა მეორც სამყარო სულიერი, რომელ არს წმიდად ეკლესიად, და განაწესნა მას შინა მნათობნი ბრნყინვალენი, – წმიდანი მოციქულნი, წინადანარმეტყუელნი, მოძლუარნი, მონამენი და მამანი, – რომელთა მიერ განანათლებს ნათესავსა კაცთასა და გონებათა მათთა გულისხმის-ყოფად წმიდისა სამებისა აღიყვანებს წინამძღვრებითა თვისისა მადლი-სამთა. და [რომელნიცა შეუდგენ მას, შვილ ღმრთისა ჰყოფს მათ და მკვდრ ნათელსა მას მიუაჩრდილებელსა.

* კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია ტექსტის დაზიანებული ადგილები, აღდგენილი „მათეს სახარების თარგმანებაზე“ დართული ამავე ანდერძის მიხედვით.

¹ იოან. 1,3. ² კოლ. 1,16-17. ³ შდრ. დაბ. 1,27. ⁴ შდრ. დაბ. 2,15.

და ხილული ესე სამყაროდ ცისაღ], ვითარცა წერილი იტყვს, [წარი-გრაგნოს, ვითარცა წიგნი, დღესა მას მეორედ] მოსლვისასა, და ვარსკუ-ლავნი [მისნი ვითარცა ფურ]ცელნი დაცვენო;¹ ხოლო სულიერი ესე ცად, რომელი ჩუენ გან[კაცები]თა შეგვმზადა, მაშინ უმეტესად გამოაბრნყინ-ვოს მან თავადმან და მნათობნი იგი მისნი გამოაჩინეს ფრიად უბრნყინ-ვალცს მზისა.

ამის სულიერისა სამყაროდათვს იტყოდა [დავით წინავალნარმეტ-ყული სულითა], ვითარმედ: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა, დაბადებულსა ქმნილსა წელთა მისთასა – სამყარო“,² რამეთუ ჭეშმარიტად იქმნა ესე. ვინათგან შემდგომად აღდგომისა უბრძანა ქრისტემან წმიდათა მოციქულთა, ვითარმედ: „წარვედით, მოიმონაფე-ნით ყოველნი წარმართნი“,³ და მერმე, დღესა მას მერგასესა, მოუვლინა სული წმიდად და აღავსნა იგინი მადლითა, განვიდეს და მოიმონაფნეს ყო-ველნი წარმართნი და მიუთხრობდეს დიდებასა ღმრთისასა და საქმეთა მათ მიუთხრობელისა განგებულებისა მისისათა. ხოლო არა სიტყვთ ოდ-ენ აღასრულეს ქადაგებად, არამედ მადლითა სულისა წმიდისათა წერით-ცა დაგვტევეს საიდუმლო ცხორებისად, რამეთუ აღნერეს წმიდად სახა-რებად ყოვლადქებულთა მახარებელთა, რომელთაცა უბრძანა სულმან წმიდამან აღნერად, და გუასწავლნეს დიდებულნი იგი საკურველებანი, რომელნი აღასრულნა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტე, სოფელსა შინა რა იქცეოდა კაცთა თანა, და ყოველივე, რა-იგი ცხორებისა ჩუენისათვს თავს-იდვა: ჯუარ-ცუმად, დაფლვად და აღდგომად და ზეცად ამაღლებად დიდებით და დიდებული იგი მეორედ მოსლვად მისი. და ამას წიგნსა უწოდეს სახარება, რამეთუ ყოვლისავე კეთილისა ხარებად წერილ არს მას შინა, ვითარცა წმიდად იოვანე ოქროპირი იტყვს. [მერმე კუალად ნე-ტარმან პავლე] და სხუათა მოციქულთა ებისტოლებითა განამტკიცნეს მორნმუნენი და ყოველი სწავლად ღმრთისმსახურებისად მოგუცეს.

ხოლო ვინათგან აღნერილსა მას შინა მახარებელთა და მოციქულთა-სა მრავალი იყო „ძნიად საცნაურ, და ვიეთნიმე უსწავლელნი და დაუმტ-კიცებელნი გარდააქცევდეს მსგავსად მათისა წარწყმედისა“,⁴ ვითარცა მოციქული პეტრე იტყვს კათოლიკესა შინა, ამისთვის შემდგომად მოცი-ქულთა გამოაჩინნა უფალმან სხუანიცა მნათობნი სამყაროსა მას ეკლე-სიისასა, წმიდანი მღდელთმოძღუარნი, რომელთა, მსგავსად მოცემულისა მათა მადლისა], განგვმარტეს ყოველივე ძნიად გულისხმისსაყოფელი წე-რილთად და გარდამაქცეველნი იგი ჭეშმარიტებისანი – მწვალებელნი – შეაჩუენეს და სირცხვლეულნი განიოტნეს ეკლესიისაგან და განანათლეს ერი მორწმუნეთად. ხოლო უფროდ ყოველთასა მიეცა მადლი იგი სწავ-

¹ შდრ. ესაია 34,4. ² შდრ. ფსალმ. 18,2. ³ მათ. 28,19. ⁴ შდრ. 2 პეტ. 3,16.

ლისად და გამოთარგმანებად წერილთად წმიდასა და ღმერთშემოსილსა იოვანე ოქროპირსა, რომელი-იგი იყო მთავარებისკობოსი კოსტანტი-ნეპოლისა; რამეთუ პირველ მისაცა] იყვნეს მნათობნი დიდნი: წმი-დად ათანასე ალექსანდრიელი და წმიდად გრიგოლ საკვრველთმოქმედი წეო[კესარიელი] და წმიდად ბასილი კესარია-კაბადუკიელი და წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყუელი და წმიდად გრიგოლ ნოსელი და სხუანი მსგავსი ამათნი, გარნა ვინაზთგან მათთა დღეთა ზე ფრიად იყო საცოტური კერპთმსახურთა და მწვალებელთად (არიოზ და ევნომიოს, საბელიოზ და მაკედონიოს და აპოლინარი და სხუანი მრავალნი), და წმიდანი იგი მა-მანი მათსა ბრძოლასა და წინააღმდეგომასა შექცეულ იყვნეს და მრავლითა ღუანლითა და შრომითა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოებად, რამეთუ მეფეთაცა მწვალებელთა მიმართ იყო წყობად მათი, ამისთვის არა მოცალე იყვნეს იგინი თარგმანებად წერილთა, არამედ ყოველი აღწერად მათი მართლისა სარწმუნოებისათვის იყო და წინააღმდეგომად მწვალებელთა; თვინიერ ხოლო წმიდამან ბასილი რავდენიმე თარგმანებაზცა წერილთად და საღმრთონი სწავლანი აღწერნა, სავსენი სიბრძნითა სულიერითა.

ხოლო ვინაზთგან მადლითა უფლისაზთა და მათ წეტართა მამა-თა მოღუანებითა არმური იგი მწვალებელთად განქარდა, და მეფენი მართლმადიდებელნი მეფობდეს, და ეკლესიად დაემტკიცა ქადაგებასა ზედა მოციქულთასა, მაშინ გამოაჩინა უფალმან სხუად მნათობი დიდი ეკლესიისად – წმიდად იოვანე ოქროპირი, და აღავსო სოფელი სწავლითა საღმრთოვთა და ყოველნი წერილნი თარგმანებითა თვისითა განმარტნა, ეგრეთვე წმიდად სახარებად ჭელ-ყო თარგმანებად მადლითა სულისა წმიდისაზთა. რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: დღეთა მათ დიდისა მეფისა თევდოსისთა, ოდეს-იგი წმიდად გრიგოლი ღმრთისმეტყუელი იყო კონ-სტანტინეპოვლეს, ევედრა თევდოსი მეფჲ, რაღთა აღწეროს თარგმანებად წმიდისა სახარებისა, რამეთუ ჭედვიდა წყაროსა მას სიბრძნისასა, რო-მელი აღმოდიოდა პირისა მისისაგან. ერჩდა უკუე წეტარი გრიგოლ და ენება ჭელ-ყოფად [თარგმანებასა სახარებისასა]. ხოლო დადგა ლოცვად ღამესა ერთსა, რაღთა გამოუცხადოს ღმერთმან, უკუეთუ ჭებავს საქმჲ იგი, რამეთუ ღმერთშემოსილნი მამანი თვინიერ ლოცვისა არარას იქმო-დეს. და ვითარცა ილოცვიდა, ესმა ჭმად, რომელი ეტყოდა: გრიგოლ, გრიგოლ, თარგმანებად სახარებისა იოვანესდა ბრძანებულ არს ანტიო-ქელისა. რამეთუ მათ დღეთა, ოდეს გრიგოლ ღმრთისმეტყუელი მთავარ-ეპისკოპოს იყო [კონსტანტინეპოვლეს, წმიდად იოვანე ოქროპირი] მთა-ვარდიაკონი იყო ანტიოქიას. ხოლო ვითარცა ესე ჭმად ესმა წეტარსა მას, მიუთხრა ჩუენებად იგი მეფესა და არღარა ჭელ-ყო თარგმანებად.

ხოლო შემდგომად მცირედისა უამისა სავედრებელი რაღმე აქუნდა ერსა მას ანტიოქიისასა მეფისა მიმართ თევდოსისადა, და დაწერა იგი

ნეტარმან იოვანე. და მოიწია რაღ წიგნი იგი წინაშე მეფისა, დაუკურ-და მეფესა აღწერილისა მის სიბრძნეც და უჩუენა წიგნი იგი წმიდა-სა გრიგოლს. ხოლო მან წარიკითხა, ცნა სულითა და ჰრქუა მეფესა: რომელსა ესე წიგნი დაუწერია, მეფეო, იგი არს, რომელი მაუწყა მე ღმერთმან, ვითარმედ ბრძანებულ არს მისდა თარგმანებად სახარებისად. და ესე წინადსწარმეტყუელებად მისი აღესრულა, რამეთუ ჭეშმარიტად აღწერა თარგმანებად წმიდისა სახარებისად ღმერთშემოსილმან იოვანე ოქროპირმან მათცსი და იოვანესი და ამათ შინა შემოკრიბა უმეტე-სი მარკოზ და ლუკას მიერ აღწერილისად და დასხნა ეკლესიასა შინა საუნჯენი დიდძალნი, სავსენი მადლითა სულიერითა.

* * *

რამეთუ ქადაგებულთა ჭეშმარიტებათა მოგუასწავეს მეცნიერებითა, საღმრთოთა მეტყუელებითა, და აღვიარებთ მათ მიერ უწყებითა სამებასა დაუბადებელსა და ყოველთა არსთა სიბრძნით დამბადებელსა, რომე-ლი-იგი ზემთა არს ყოველთა მოგონებათა და გამოთქუმათა ბაგეთაგან ჭორციელთა: ღმრთებად, გუამოვნებით სამებად და სამებად, ბუნებით ერთსწორებად, მამად დაუსაბამოდ და დაუსრულებელი, ნათელი ბუნებით უნივორი, მნათობი შორის ორთა ცხოველთა, სწორი განზრახვითა და განგებითა თკომფლობელობისადთა, და ძმ დაუსაბამოდ, მხოლოდ მხო-ლოვსაგან მხოლოდშობილი, ცხორებად ცხორებისაგან, ნათელი ნათ-ლისაგან თუალთშეუდგამი, რომელი თკომებითა ჭელმზიფებისადთა ჰგიეს უცვალებელად მამისა თანა და სულისა ყოვლითავე მსგავსებითა, თკნიერ ძეობისა, და სული დაუსაბამოდ ცხოველსმყოფელი, რომელი აღავსებს ყოველთა სიმდიდრითა ღმრთისმეცნიერებისადთა, და თკო ჰგიეს ორთა მათ თანა არსებათა სუფევასა უკუდავებისასა.

ესრეთ აღვიარებთ მართლმადიდებლობით ჭეშმარიტსა ღმრთებასა, სამცხოველებით გამოცხადებულსა, ხოლო ერთსა სამებისაგანსა, ძესა მხოლოსა ორითა ბუნებითა, ერთ ხატად შეურწყმელად, რომელი უწინარეს საუკუნეთადა შეუცავითა მით ღმრთებისა ბუნებითა იყო მამისა თანა.

ვითარცა ოხრის ნესტკ იგი ღმრთისმეტყუელებისად და ჭური სიწმიდი-სად, მიმთხრობელი უჟამოსა მას არსებასა, და იტყვს: „პირველითგან იყო სიტყუად“,¹ ესრეთ აღამაღლებს გონებათა ჩუენთა პირველისა მის მიმართ, რომლისა მიწდომად შეუძლებელ არს, რამეთუ რაოდენცა ამაღლდეს გო-ნებად სიმაღლისა მიმართ ჟამთავსა, პირველ იგი უმაღლეს იპოვების.

არამედ მოვიყვანოთ გონებად თკსავე სადგურად და ვისმინოთ ამისვე საღმრთოვსა მახარებელისად, რამეთუ პირველადვე მოგვთხობს მიუწ-

¹ იოან. 1,1.

დომელსა მას და უსაზღვროსა არსებასა და კუალად ლალადებს უცნაურსა მას საიდუმლოსა და მიზეზსა ჭინისა ჩუენისასა, სავსესა ყოვლითა საშინელებითა, და იტყვა: „და სიტყუად იგი წორციელ იქმნა“.¹

ესე არს სიტყუად იგი, რომელი პირველითან იყო უშობელისა თანა მშობელისა და აღსასრულსა საუკუნეთასა კაცთა მსგავსებასა მოდგამ იქმნა, რაღთა ვიხილოთ ჩუენ დიდებად მისი, „დიდებად ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ, სავსც მადლითა და ჭეშმარიტებითა“,² და სავსებისაგან ღმრთებისა მისისა მოვილოთ მადლი მადლისა წილ,³ რომელ არს შჯული შჯულისა წილ.

რამეთუ შეცვალა მან სახც იგი წესთა მათ პირველთად და გამოაბრნენვა სინათლჲ, ჭეშმარიტებად მახლობელთა მიმართ და შორიელთა, რომელ არიან ერნი ზეცისანი და ქუეყანისანი, რომელნი ერთ სამწყსო ყვნა მიზეზითა კაცთმოყუარებისაღთა, ვითარცა თქუა, ვითარმედ: „იყვნენ იგინი ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“,⁴ რამეთუ შეაერთნა ქუეყანისანი ზეცისათა და ზოგად აუწყა მრავალსახც იგი მიუწდომელობად განგებულებისა თვისისად, რამეთუ რომელმან უამთა ბუნებისა საზღვარი განანესა, უამთა რიცხუსა მორჩილ იპოვა ბუნებითა მით, რამეთუ ჩუენგან მიიღო და ტაძარსა მას წორცთა ბუნებისასა დაფარა სავსებად ღმრთებისა მისისად, რომლისა შუენიერებამან დაფარნა ცანი.

რამეთუ შანთი იგი აუგებული შეეზავა აგებულებასა ნივთიერსა ბრძმეთსა მას შინა სიწმიდისასა, რომელ არს უბინოდ მშობელი მისი, რომელსა შორის საიდუმლოდ დამკუდრებითა თვისითა უქცეველად აღასრულნა ქადაგებანი პირველ უწყებულთანი სულისა მიერ, რომელნი სურვიელად მოელოდეს და სწადოდა, რაღთა იხილონ ქადაგებული მათი, რომელსა აწ ღმრთისა სიტყუამან სახიერებითა თვისითა ღირს-მყვნა ჩუენ, ერი ესე ახალი, რომელთა მიწოდა უცხოთაგან სამსახურებელთა და აღმიშენა სახლი სულიერი საფუძველსა ზედა მოციქულთა და წინაღსნარმეტყუელთასა, რომლისა საფუძველი შეურყეველად ჰგიან კუეთებასა მას ურნმუნოებისა ქართა მდინარეთასა, რამეთუ თავ საკიდურთა მისთა⁵ არს მხოლოდშობილი ძც ღმრთისად, რომელმან სხურებულ-ყოსისხლითა ახლისა აღთქუმისაღთა და განაშუენა სახედ ძონეულისა.

ამისთვეს, რომელსა პირველ ბერნ ერქუა, აღივსნეს ეზონი მისნი სიმრავლითა ნაშობთაღთა, რომელთა შორის განსცხრების ათძალითა შემასხმელითა, ვითარცა დედად შვილთა მიერ სახარულევანი, რამეთუ შეიწყნარა ხარებული იგი ესაია ჭმამაღლისად, რომელ თქუა: „იხარებდ, ბერნი ეგე, რომელი არა შობდ; აღიმაღლე და ლალად-ყავ, რომელსა

¹ იოან. 1,14. ² იოან. 1,14. ³ შდრ. იოან. 1,16. ⁴ იოან. 10,16. ⁵ შდრ. ფსალმ. 117,22; მათ. 21,42; მარკ. 12,10; ლუკ. 20,17; 1პეტ. 2,7.

არა გელმოდა¹.¹ ამისთვისცა ნაკადულნი დიან საღმრთოება მის ცუარისა და წყლისა ცხოველისანი საყოფელთა შორის სიონისათა, რომელ არიან ქადაგებანი მოციქულთა და წინადაწარმეტყუელთანი და წმიდათა მღდელთმოძღვართანი, რომელთა შორის სავანე-ყო მხოლოდშობილმან ძემან ღმრთისამან მამით და სულით წმიდითურთ.

ამისთვის არა ღირს წოდებად მათა სწორ კაცთა, არამედ მოდასედ უწორცოთა ზეცისათა, რომელთა მსგავსად ორბისა ფრთოვან-ქმნეს გონებად მათი სიმაღლედ მიმართ სამყაროება და ვითარცა ღრუბელთა აცურიეს სოფელსა ცუარი ღმრთისმეცნიერებისად, და აღორძნდა ნაყოფი მართლისა სარწმუნოებისად უმეტეს პირველისა.

რამეთუ შორის მისა ვითარცა ღუარძლი განარჩიეს ნერგი იგი სიმწარისად, სარწმუნოებად მწეცებრ განბოროტებულთა მწვალებელთად, რომელნი განცოფნეს სიბრძნესა შინა ამის სოფლისასა, ხოლო სილალითა მით უკეთურებისა თვისისადთა არა თავს-იდვეს მორჩილებად სწავლასა მოციქულთასა, არამედ შემოიღეს მოძღურებად უცხოდ და მრავალსახლს.

ამისთვის უცხო იქმნეს მეორედ შობისა მისგან სულიერისა და ეს-რეთ შეპყრობილნი ბნელითა უმეცრებისადთა ეწყვებოდეს წინაშე პირსა ნათლისასა. ხოლო წმიდათა მათ მოძღუართა მართლისა სარწმუნოებისათა, ვითარცა ცეცხლითა, ენითა მათითა შეწუეს ეკალი წვალებისა მათისად, და ჯეჯლი იგი მართლმადიდებლობისად – კრებული ერთა მორწმუნეთად – იხარებს ცუარითა მით გარდამომდინარითა პირით მისით, და განწყობილნი ოხრიან ღელეთა შორის ეკლესისათა დიდებისმეტყუელებად საშინელისა სამებისა, რომელი დიდებულ არს უკუნისამდე.

ამის წმიდისა სამებისა ჭეშმარიტითა სარწმუნოებითა და მისა მიმართ მეოხებითა დედოფლისა ჩუენისა ყოვლადწმიდისა ქალწულისა მარიამისითა, რომელმან ერთი სამებისაგანი, ძვ, ბუნებით სწორი მამისად, თვინიერ ბუნებისა საშოსა დაიტია, და ესე არს მეოხი ყოველთა ქრისტეანეთად წინაშე ძისა მისისა და ღმრთისა ჩუენისა, და ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისადთა და მადლითა წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისადთა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთა, მღდელთმოძღვართა, მოწამეთა და მამათადთა, რომელთა მწნედ მოღუანებითა მათითა სულიერითა განაპნეს სიღრმენი უფსკრულთა ურწმუნოებისათანი და ერი ღმრთისად – ახალი ისრატლი – განიყვანეს აღთქუმულსა მას იერუსალიმსა, რამეთუ ნავი მოძღურებათა მათთად შეპმზადეს, არა თუ ქუეყანითი ქუეყანად მიმყვანებელი, არამედ ქუეყანით ცად აღმყვანებელი სულისა და გონებისა მართლმორწმუნეთადსა ამათ ყოველთა მეოხებითა და თანაშენევნითა.

¹ ესაია 54,1; გალ. 4,27.

საჭიროებელი

| | |
|--|-----|
| შინაგანი მუხლები | 5 |
| თავი 1 ნეიდისა იოვანესთვეს, მახარებელისა და ღმრთისმეტყუელისა | 7 |
| თავი 2 1,1 | 14 |
| თავი 3 1,1 | 23 |
| თავი 4 1,1-3 | 29 |
| თავი 5 1,3-5 | 38 |
| თავი 6 1,6-8 | 44 |
| თავი 7 1,9 | 47 |
| თავი 8 1,9-10 | 52 |
| თავი 9 1,11 | 57 |
| თავი 10 1,11-13 | 62 |
| თავი 11 1,14 | 68 |
| თავი 12 1,14 | 72 |
| თავი 13 1,15 | 78 |
| თავი 14 1,16-17 | 82 |
| თავი 15 1,18 | 90 |
| თავი 16 1,19-27 | 97 |
| თავი 17 1,28-34 | 102 |
| თავი 18 1,35-40 | 109 |
| თავი 19 1,41-42 | 116 |
| თავი 20 1,43-49 | 120 |
| თავი 21 1,49-2,4 | 124 |
| თავი 22 2,4-10 | 128 |
| თავი 23 2,11-20 | 132 |
| თავი 24 2,23-3,4 | 137 |
| თავი 25 3,5 | 142 |
| თავი 26 3,6-11 | 147 |
| თავი 27 3,12-16 | 152 |
| თავი 28 3,17-20 | 157 |
| თავი 29 3,22-30 | 162 |
| თავი 30 3,31-34 | 168 |
| თავი 31 3,35-4,12 | 174 |
| თავი 32 4,13-20 | 182 |
| თავი 33 4,21-27 | 187 |
| თავი 34 4,28-38 | 192 |
| თავი 35 4,40-50 | 197 |
| თავი 36 4,54-5,3 | 201 |
| თავი 37 5,6-12 | 206 |
| თავი 38 5,14-21 | 209 |
| თავი 39 5,22-30 | 218 |
| თავი 40 5,31-38 | 228 |
| თავი 41 5,39-47 | 236 |
| თავი 42 6,1-15 | 241 |
| თავი 43 6,16-25 | 247 |

| | | | |
|-------------|----|-------------------|-----|
| თავი | პდ | 6,26-27..... | 250 |
| თავი | ენ | 6,28-40 | 254 |
| თავი | ეს | 6,41-52 | 265 |
| თავი | ეზ | 6,53-70..... | 274 |
| თავი | ეჟ | 7,1-8 | 286 |
| თავი | ეო | 7,9-24..... | 293 |
| თავი | ე | 7,25-36..... | 302 |
| თავი | ეა | 7,37-44..... | 310 |
| თავი | ებ | 7,45-8,19..... | 318 |
| თავი | ებ | 8,20-31..... | 326 |
| თავი | ედ | 8,31-46 | 334 |
| თავი | ეი | 8,48-59..... | 344 |
| თავი | ებ | 9,1-5 | 351 |
| თავი | ეზ | 9,6-16 | 359 |
| თავი | ეჟ | 9,17-34 | 365 |
| თავი | ეო | 9,35-10,12 | 374 |
| თავი | ე | 10,14-21 | 381 |
| თავი | ეა | 10,22-42 | 389 |
| თავი | ებ | 11,1-27 | 395 |
| თავი | ებ | 11,30-40 | 404 |
| თავი | ედ | 11,41-48 | 411 |
| თავი | ეე | 11,49-12,8..... | 420 |
| თავი | ევ | 12,9-24 | 427 |
| თავი | ეზ | 12,25-32 | 433 |
| თავი | ეჟ | 12,34-41..... | 439 |
| თავი | ეო | 12,42-50 | 445 |
| თავი | ე | 13,1-10 | 450 |
| თავი | ეა | 13,12-18 | 456 |
| თავი | ებ | 13,20-35 | 461 |
| თავი | ებ | 13,36-14,7 | 469 |
| თავი | ედ | 14,8-13 | 476 |
| თავი | ეე | 14,15-31 | 481 |
| თავი | ევ | 14,31-15,10 | 491 |
| თავი | ეზ | 15,11-16,4 | 497 |
| თავი | ეჟ | 16,4-15..... | 504 |
| თავი | ეო | 16,16-33 | 511 |
| თავი | ე | 17,1-5..... | 518 |
| თავი | ეა | 17,6-13 | 525 |
| თავი | ებ | 17,14-26 | 531 |
| თავი | ებ | 18,1-37 | 539 |
| თავი | ეძ | 18,37-19,15 | 548 |
| თავი | ეე | 19,16-20,2 | 553 |
| თავი | ებ | 20,10-23 | 561 |
| თავი | ეზ | 20,24-21,12 | 567 |
| თავი | ეჟ | 21,15-25 | 571 |
| გოლოსიტებულ | | 575 | |

შენიშვნებისთვის



გამომცემლობა
პირანია

გარეკანის პირველ გვერდზე: წმ. იოანე ოქროპირის ხატი სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრიდან (XII ს.). ფორზაცზე: „თარგმანებად იოანეს სახარებისად“, ხელნაწერ A 101-ის (XIII ს.) ფრაგმენტი.

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“